

შპს როსტერ

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
5. მარაგები	11
6. ძირითადი საშუალებები	11
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	11
8. სესხები	11
9. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	12
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31
დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	796,899	302,953
სავაჭრო მოთხოვნები		408,700	689,611
მარაგები	5	1,296,049	1,280,034
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,501,648	2,272,598
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,849,267	184,853
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,849,267	184,853
მთლიანი აქტივები		4,350,915	2,457,451

ვალდებულებები და კაპიტალი



მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	627,500	243,887
საგადასახადო ვალდებულებები		145,544	27,591
გადასახდელი ხელფასები		-	37,979
სესხები	7	411,118	358,729
სულ ვალდებულებები		1,184,162	668,186

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი		350,000	350,000
გაუნაწილებელი მოგება		2,816,753	1,439,265
სულ საკუთარი კაპიტალი		3,166,753	1,789,265

მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		4,350,915	2,457,451
--	--	------------------	------------------

დირექტორი  

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	796,899	302,953
სავაჭრო მოთხოვნები		408,700	689,611
მარაგები	5	1,296,049	1,280,034
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,501,648	2,272,598
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,849,267	184,853
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,849,267	184,853
მთლიანი აქტივები		4,350,915	2,457,451
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	627,500	243,887
საგადასახადო ვალდებულებები		145,544	27,591
გადასახდელი ხელფასები		-	37,979
სესხები	8	411,118	358,729
სულ ვალდებულებები		1,184,162	668,186
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		350,000	350,000
გაუნაწილებელი მოგება		2,816,753	1,439,265
სულ საკუთარი კაპიტალი		3,166,753	1,789,265
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		4,350,915	2,457,451
დირექტორი -----		ჯაბა პაპიძე	

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	30,223,160	21,986,047
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(27,200,844)	(19,820,066)
საერთო მოგება		3,022,316	2,165,981
ხელფასები და სხვა სარგებელი		(859,608)	(814,361)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(749,980)	(666,606)
სხვა ხარჯები		(23,940)	(20,494)
საოპერაციო მოგება		1,388,788	664,520
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(11,300)	(7,729)
მოგება დაბეგვრამდე		1,377,488	656,791
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,377,488	656,791

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი	350,000	782,474	1,132,474
წმინდა მოგება	-	656,791	656,791
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	350,000	1,439,265	1,789,265
წმინდა მოგება	-	1,377,488	1,377,488
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	350,000	2,816,753	3,166,753

დირექტორი -----

ჯაბა პაპიძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება დაბეგრამდე	1,377,488	656,791
კორექტირებები:		
ზარალი საკურსო სხვაობიდან	11,300	7,729
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	256,081	39,257
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში	280,911	(189,372)
ცვლილება მარაგებში	(16,015)	(471,122)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში	383,613	(252,818)
ცვლილება გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	(37,979)	8,960
ცვლილება საგადასახადო ვალდებულება	117,953	6,045
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,373,352	(194,530)
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,920,495)	(4,743)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,920,495)	(4,743)
ფინანსური საქმიანობა		
სესხის აღება	41,089	172,996
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	41,089	172,996
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა	493,946	(26,277)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	302,953	329,230
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	796,899	302,953

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს როსტერი დაფუძნდა 2009 წელს და რეგისტრირებულია მისამართზე: გარდაბანი, სოფ. თელეთი. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 226579921. კომპანიის მფლობელია შემდეგი ფიზიკური პირი:

ჯაბა პაპიძე (ს/კ 01016004437) – 100%

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, დაუმუშავებელი თამბაქოთი, თესლებით და ცხოველების საკვებით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი ჯაბა პაპიძე (ს/კ 31001040497), რომელიც აგრეთვე არის კომპანიის 100% წილის მფლობელიც.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-16-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობების და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ

ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	2-8
სხვა ძირითადი საშუალებები	2-4

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

4.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ შემოსავალი უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის

დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

4.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2019	31-12-2018
ნაღდი ფული სალაროში	126,800	48,205
ფული საბანკო ანგარიშებზე	670,099	254,748
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	796,899	302,953

5. მარაგები

მარაგები	31-12-2019	31-12-2018
ნედლეული და მასალები	1,275,735	1,262,406
მზა პროდუქცია	20,314	17,628
სულ მარაგები	1,296,049	1,280,034

6. ძირითადი საშუალებები

შემოსავლების და მასშტაბების გაზარდელად 2019 წელს კომპანიამ შეიძინა 1,920,495 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. 2019 წელს დარიცხულმა ცვეთის ხარჯმა შეადგინა 256,081 ლარი, რომელიც სრულად შესულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, რადგან აღნიშნული ძირითადი საშუალებები უშუალოდ მონაწილეობს პროდუქციის შექმნაში.

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპანიას გააჩნია სავაჭრო ვალდებულებები ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ. ძირითადად ნედლეულის მომწოდებლებისგან. ნაშთის მნიშვნელოვანი ზრდა 2019 წელს გამოწვეულია კომპანიის შემოსავლისა და მასშტაბების ზრდით.

8. სესხები

კომპანიას საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად აღებული აქვს სესხები ქართული კომერციული ბანკისგან. საშუალო საპროცენტო განაკვეთია წლიური 11.5%.

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავალი აქვს შემდეგი საქმიანობებიდან: შინაური ცხოველებით და შინაური ცხოველების საკვებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა ხორცი და ხორცის პროდუქტებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით სპეციალიზებულ მაღაზიებში და ფრინველის მოშენება.

2019 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავალი, რაც ძირითადად განპირობებული იყო კომპანიის ბრენდის ბაზარზე ცნობადობის ამაღლებით.

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანია ახდენს ნედლეულის იმპორტს, რის შემდეგაც ხდება ნედლეულის გადამამუშავება და ცხოველების საკვები პროდუქტების წარმოება. წარმოება ხორციელდება როგორც საკუთარი ძალებით ასევე ქვეკონტრაქტორი კომპანიის დახმარებით. აღნიშნული ნედლეულის ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მენეჯმენტის კომპენსაცია 2019 წელს შეადგენდა 164,950 ლარს, ხოლო იგივე მაჩვენებელი 2018 წელს იყო 122,418 ლარი

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.